სამშობლო

ჰარასკევი
2 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 189 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 189

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

ფასითი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქალაქის თეატრი.
„ქართული დრამა".
სეზონის დასაწყისი.
ორჯერზედიზედ

ხუთშაბათს, 1 და ჰარასკევს, 2 ოკტომბერს
წარმოდგენილი იქნება
ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა
სინათლე.
5 სურათად.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი საბენეფისოა.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
რეჟისორი შ. დადიანი.

ანონსი: მზადდება „კაი გრაკხ" და ურიის სისხლი.

3—3

ქალაქის „ქართული დრამა". თეატრი.
წარმოდგ. № 3.
იაფ-ფასიანი წარმოდგენა.
შაბათს, 3 ოკტომბერს წარმოდგენილი იქნება მონტის ცნობილი პიესა
კაიუს გრაკხუს.
ტრ. 5 მოქმ.
მონაწილეობენ: ქქ. ეფ. მესხი, მ. მდივანი; ბბ. ი. ზარდალიშვილი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, ჩიგუნავა, ჩხიკვაძე, შ. ხონელი და თანამშრომლები.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი შ. დადიანი.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან საკონდიტრო
„რეიმსი" და „გრანდ-კაფე"
ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით.
8—5

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან გადაკეთდა საშუალო კერძო პროფესიონალურ სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი წლიურად: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდროვს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, [illegible] მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ, მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ცენტრალის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
ხუთშაბათიდან, 1, 2 და 3 ოკტომბერს ახალი საუცხოვო და ფართო პროგრამა.
ქრონიკა ზომონისა. მიმდინარე ცხოვრებიდან.
მილიონების ჰიპნოზის ქვეშ.
7 და 8 სერია 4 ნაწილად.
პირველი დებიუტი. კომიკური სურათი ნორდისკის სერიიდან ქოროტიშკინის მონაწილეობით.

ანონსი: 2 ოკტომბერს, მხოლოდ ერთ საქველმოქმედო სეანსზე ნაჩვენები იქნება სურათები ახალი პროგრამით.

ორშაბათიდან 5 ოკტომბ. ახალი პროგრამა. სულგრძელი მოხეტიალე. დრამატ. ეტიუდი 2 ნაწილად. ზახაქირავებელი ოჯახი. მხიარული კომედია 2 ნაწ.

„სინათლის" საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი" („როსსია"),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დაწყებითს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

თფილისი. 29 ენკ. ზღვის ნაპირა რაიონში ოსმალები შეეცადენ მდ. არხევის რამდენსამე ფონზე გადასვლას. მათი ცდა დროით იქნა შეჩნეული და ხელი შეუშალეთ მის განხორციელებას. ბირკეს მთის რაიონში, იშხანის ჩრდილოეთით რამდენიმე შეტაკება მოხდა წინა დღით უკუქცეულ ოსმალთა ჯარის ნაწილებთან. სოფელ კეგიკის რაიონში, ტორტუმის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით მომხდარი სროლა გაცხოველდა. ოსმალების შემოტევა გოპაზოდან, მელაზგერთის ჩრდილო დასავლეთით სოფელ ეკრიშთან, შეჩერებულ იქნა. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირთან მდებარე რაიონში სოფელ ვასტანის აღმოსავლეთით მტერთან რამდენიმე შებრძოლება მოხდა. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

უმაღლესი მთავარსარდლის შტ. აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 28 ენკ. რიგის ყურეს თავზე მფრინავი გიდროპლანები მტრისა, ჩვენმა ნაღმოსნებმა განდევნეს. ტუკუმის რაიონში—ილია მურომეცმა რამდენიმე ათეული ყუმბარა ჩამოაგდო. დვინსკის ფრონტზე სასტიკი ბრძოლა გძელდება. სოფელ დუბელიშკის რაიონში გერმანელებმა ჩვენი თხრილების ნაწილი ხელში ჩაიგდეს. ლაუცესეის რაიონში ნოვო-ალექსანდროვსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერიამ გერმანელები გაფანტა. ჩვენის არტილერიის ცეცხლით მტერი იძულებული გახდა თხრილები და სოფელი პოჟაკი დაეტოვებია. დემენის ტბის სამხრეთ წვერის რაიონში, ჩვენმა ჯარმა ისარგებლა ნისლით და აისს იერიში მოულოდნელათ იერიში მიიტანა მტერზე და ხელში ჩაიგდო გერმანელების თხრილების სამი ხაზი. წამოიყვანა ტყვეები და ტყვიის მტყორცნელები. გრუზენტგალისთან, დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით, ჩვენი ჯარი წარმატებით მოქმედებდა. საველე ჯარის დამხმარე ჩვენმა მფრინავებმა დრისვიატის ტბის რაიონში მდებარე მტრის ბანაკში 600 ყუმბარა ჩამოაგდეს. ობოლოს ტბის სამხრეთით ჩვენი ჯარი მდინარე პრორვზე გადავიდა და დაიკავა სოფლები: რუდზეი გოლოვეჩი და გავრანცი. აგრეთვე ჩვენმა ჯარმა დაიკავა ბოგინის ტბის ყელი. იგინის არხის რაიონში მტერმა რამდენსამე პუნქტზე იერიში მოიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნა.

პინსკის სამხრეთ დასავლეთით სოფელ ომართან შეტაკით გამოვხდენით ამ სოფლიდან, გერმანელები, რომელნიც უწესრიგოთ გაიქცენ და დიდი ზარალიც ნახეს. პრიპიატის სამხრეთით, მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე მდებარე რაიონში, ჩვენს ცხენოსან ჯარს რამდენიმე მარჯვე შეტევა ჰქონდა მტერთან. სოფ. რაფალოვკისა და ცმინის რაიონში მდ. სტირზე, ჩარტორიისკის ქვემოთ მტრის ცდა შემოტევის შესახებ უნაყოფოთ დარჩა. გალიციაში სოფ. გაივორონკის რაიონში, ტრენბოვლის დასავლეთით ჩვენმა ჯარის ნაწილებმა წინა დღით მოპოვებული წარმატება გააფართოვეს შეიჭრენ ლობეების უკანასკნელ რიგში და ხელში ჩაიგდეს ორი წყება თხრილი და შტურმით აიღეს მაღლობზე აგებული სიმაგრე, რომლის გარშემოც ორი წყება მავთულის ღობე და თხრილები იყო შემოვლებული. დატყვევებდენ 250 კაცი, წამოვიღეთ ზარბაზანი და 3 ტყვიის მტყორცნელი. მტერი შეეცადა დანაკარგის დაბრუნებას და მრავალრიცხოვანი ძალით კონტრიერიში მოიტანა ჩვენზე, მაგრამ მოგერებულ იქნა ახალი შეტევით. ამავე სოფლის რაიონში მიკოლვის მთაზე ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტერი და ტყვეთ წამოიყვანა ერთი ბატალიონი ავსტრიელებისა. მტერმა უწესრიგოთ დაიხია მდ. სტრიისკენ. ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ უკან დაედევნა მტერს და ცეცხლმოკიდებულ ხიდებზე გავლით შეიჭრა სოფ. გაივორონკაში. საღამოს ჩვენი ცხენოსანი ჯარი გავიდა მდ. სტრიაში და ეკვეთა მტერს. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში 60 აფიცერი, 2000 ჯარისკაცი, 4 ზარბაზანი და 10 ტყვიის მტყორცნელი.

ომის ამბები.

საბერძნეთი.

საბერძნეთის საგარეო პოლიტიკა დიდ რყევაშია: ვენიზელოსი მთავარ მინისტრობიდან გადადგა, მისი ადგილი ზაიმისმა დაიკავა, მაგრამ ჯერ კიდევ გამორკვეული არაა, თუ ვის მხარეზე დადგება იგი.

25 სექტემბრიდან, როგორც გაზეთი „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება, ზაიმისმა სამინისტროს საქმეები ჩაიბარა და მართვა-გამგეობას შეუდგა. 28 სექტემბერს ახალი კაბინეტი პარლამენტის წინაშე წარსდგა და მისი მსჯავრი მოისმინა.

ფიქრობენ, რომ პარლამენტის უმრავლესობა სამინისტროს პოზიციის მხარს დაუჭერს. ვენიზელოსის მომხრეები აგიტაციას განაგრძობენ და ბევრი ფიქრობს, რომ ისინი მეფეს აიძულებენ, რომ პარლამენტი დაითხოვოს და ზაიმისი ადგილიდან გადააყენოს და ისევ ვენიზელოსი მიიწვიოს. მაგრამ კორესპონდენტის აზრით, საქმეს ვერაფერი უშველის და გერმანოფილების პოლიტიკას ვერაფერი დასძლევს, გარდა მოკავშირეების ძლიერი არმიისა, რომელიც მათ დროზე უნდა გადაიყვანონ სალონიკში. (რ. ს.)

ბალკანეთში.

— ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებმა სატრანსპორტო ხომალდებით მუდროსზე ასი-ათასამდე ჯარის კაცი გადაიყვანეს. გერმანია ავსტრიის ძალების ხელმძღვანელის, მაკენზენის განკარგულებაში. დღემდე შეგროვილი—250,000 ჯარის კაცი ეს რიცხვი უნდათ 800,000 მდე აიყვანონ. (რ. ვ.)

— რუსის გემი „ბელგრადი,“ რომელსაც მდ. დუნაიით სერბიელებისათვის სამხედრო მასალით დატვირთული ხუთი „ბარჟა“ მიჰყავდა, ბულგარეთის სამხედრო ხომალდმა შეიპყრო.

— ბულგარეთის ჯარის ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა სერბიის ფრონტზე და ნიშ—სალონიკის ხაზის გარღვევას შეეცადა. (რ. უ.)

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

თ. შჩერბატოვის წასვლა.

პეტროგრადიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ ყოფილი მინისტრი თ. შჩერბატოვი 29 სექტემბრის განმავლობაში პეტროგრადიდან თავის მამულში პოლტავის გუბერნიაში დაბინავდება. სამინისტროს მოხელეები მას, როგორც ამბობენ, გამოსათხოვარ მეჯლისს არ გაუმართვენ, შჩერბატოვი ქ. პოლტავაში შეივლის და იქ თავად-აზნაურთა მომავალ კრების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს. (კ. ს.)

მინისტრის აღსარება.

ახლათ დანიშნულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ხვოსტოვმა პეტროგრადის გაზეთების კორესპონდენტებს შემდეგი უთხრა: „მე იმ აზრის ვარ, რომ დათმობა აუცილებელია. მე, როგორც მტკიცე კაცი, დათმობას არ შევუშინდები, პოლიტიკა კუჭზეა დამოკიდებული და უპირველესად მასზე უნდა ვიზრუნოთ: ჯერ გაძღეთ და მერე პოლიტიკურ მოთხოვნებსაც ყურს დავუგდებთ. ჩვენ ახლაო, სთქვა მინისტრმა, „მშიერ ბუნტების“ საფრთხეს წინაშე ვდგევართ, უპირველესათ საჭიროა, აი, ამ „ბუნტების“ თავიდან ასაცილებლათ შესაფერი ზომები მივიღოთ. მე გულწრფელი მომხრე ვარ მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციებისა და სინდიკატებს შევებრძოლები. მოსკოვის სიეზდების ნაშრომს მე ორ ნაწილათ ვყოფ: პირველი ნაწილი პრაქტიკულ მოქმედობას შეიცავს, რასაც მე სიხარულით ვეგებები: იგი დიდათ სასარგებლოა ქვეყნისთვის. მეორე ნაწილი რეზოლიუციებს წარმოადგენს. სიეზდებმა თავისი კომპეტენციის საზღვარს გადააბიჯეს, როცა ისინი ძალა-უფლების საკითხს შეეხენ და დამფუძნებელ კრებისკენ გადაიხარეს. ამით ისინი შეცდომაში ჩავარდენ, მაგრამ ეს კიდევ ხელს ვერ შეგვიშლის, რომ შემდეგშიაც ერთად ვიმუშაოთ. რაც შეეხება ბეჭდვითი სიტყვის საქმეს, მე პრესის დამოუკიდებლობის მომხრე ვარ. წინასწარი ცენზურის შემოღებაზე გავრცელებულ ხმებს ისე უნდა უყუროთ, როგორც ბატონყმობის ხელახლავ მობრუნების ჭორს. მე არც ერთ ერს მძულვარებით არ ვუყურებ საზოგადოთ, და კერძოთ, არც ისრაელებს—მე ყოველთვის მტერი ვიყავი აგრესიული პოლიტიკისა და აწიდაც თ. შჩერბატოვის პოლიტიკის დამცველი ვიქნები. სიძვირესთან და ნემეცურ ძალმომრეობასთან ბრძოლა ყველაფერზე უდიდეს და უპირველეს საჭიროებათ მიმაჩნია. პროგრესიულმა ბლოკმა თავის თავს დიდათ ავნო იმით, რომ ეს კითხვები თავის პროგრამაში არ შეიტანა“. (კ. ს.)

ვინ როგორ მიეგება.

დეპ. ხვოსტოვის მინისტრათ დანიშვნას სათათბიროს სხვადასხვა ფრაქციები სხვადასხვა ნაირათ მიეგებენ.

მემარჯვენეების ლიდერმა მარკოვმა ირონიულად შენიშნა: ხვოსტოვი—პირველი დეპუტატია, რომელიც მინისტრათ ინიშნება. ეს იმას ნიშნავს, განაგრძო, „შავების“ წინამძღოლმა, რომ ჩვენ ამიერიდან უკვე საზოგადო მოღვაწე გვყავს მინისტრათ, ვულოცავ ბლოკს გამარჯვებას!

პროგრესისტების წარმომადგენელი ეფრემოვი ამბობს: ხვოსტოვის მინისტრათ დანიშვნა—ეს უკვე არსებული პოლიტიკური კურსის შენახვის ცდაა და ეს ცდა უნაყოფოთ ჩაივლის: მალე საჭირო იქნება საზოგადო მოღვაწეების მინისტრებათ მოწვევა, მაგრამ, შეიძლება, ეს გვიან დარჩეს და საქმეს ველარ უშველოს. კადეტების ორატორი, როდიჩევი აცხადებს: ხვოსტოვის მინისტრათ დანიშვნა—ეს საბრძოლველათ გამოწვევაა! (კ. ს.)

ხმები.

პეტროგრადის პოლიტიკურ წრეებში ხმა ისმის, რომ მალე გადაცვლიან მიწათ მომწყობ სამართველოს უფროსს, სახელმწიფო კონტროლიორს, სახალხო განათლების მინისტრს და თ. ვოლკონსკის, ყველა ამათ ადგილზე „მაგარი კურსის“ დამცველებს ჩააყენებენ!

უცხოეთი.

ახალი სესხი გერმანიაში.

ეს ახალი სესხი გერმანიაში მესამეა, მკითხველებმა იციან, რომ გერმანიამ ორჯერ ათ-ათი მილიარდი მარკა ისესხა. ახლა კიდევ როგორც სხვა ყველა მეომარი სახელმწიფოები, იძულებულია კვლავ სესხით, დაფაროს ომით გამოწვეული ხარჯები. მაგრამ საქმე ისაა, რომ გერმანიის სესხი სულ სხვაა, ვინემ სხვა სახელმწიფოების. სხვებისთვის თუ ამ ომის დროს მხოლოთ სამი რამ არის საჭირო, ე. ი. „ფული, ფული და ფული,“ გერმანიას ფული სულ არ ჭირდება. ამიტომ მისი „სესხი“ სულ სხვა ფორმისა და ხასიათისაა. აქ ომს ნისიათ აწარმოებენ და ამიტომ სესხი აქ მხოლოთ ხაზინის გადიან ვალდებულებათა უვადოზე გაცვლას ემსახურება.

საზოგადოთ სხვაგან საქმე ასეა დაყენებული: აიღებენ სესხს და ამის დაგვარათ იმზადებენ საომარ მასალას და სურსათს; და თუ ფული შემოელიათ და სასესხებლათ ვერ იშოვეს, ომის წარმოებაც შეუძლებელი ხდება. გერმანიაში კი, როგორც მრეწველობით უფრო განვითარებულ ქვეყანაში საქმე სულ წინააღმდეგ არის მოწყობილი. აქ სამხედრო მასალას და სურსათს ამის და მიხედვით კი არ ხარჯავენ ან იძენენ, რამდენი ფული ეშოვებათ, არამედ ფულს წინდაწინვე სესხულობენ იმის და მიხედვით, თუ რამდენი სამხედრო მასალა და სურსათი დახარჯეს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მაგალითად თუ ნახევარი წლის განმავლობაში მათ ათი მილიარდის მასალა და სურსათი დასჭირდათ, შემდეგისთვის ათ მილიარდს სესხულობენ და ასე ბოლომდის. ერთი სიტყვით ჯერ ხარჯავენ, რამდენიც კი საჭიროა საქმისთვის, მერე ამისდაგვარათ სესხულობენ ფულს. ამას გარდა, საზოგადო სახალხო წარმოებაში დიდი ეკონომიაა შემოღებული.

ამ ომის დროს გერმანია ბევრს ხარჯავს და იმავე დროს სამაგიეროს კი არ ქმნის; აქედან იბადება საჭიროება, რომ ბევრ სხვა დარგში მომჭირნეობა იხმარონ. მაგალითად შენობების აგება ახლა თითქმის სულ შეჩერებულია, არც თეთრეულს და ტანისამოსს ამზადებენ საკმაოთ; მანქანებს არ ანახლებენ, რასაკვირველია, სამხედრო მანქანების გარდა და სხვა ამ გვარებს გერმანია ახლა არ იწერს საზღვარგარეთიდან სპილენძსა და რეზინს, ბამბასა და ნავთს. ყველა ასეთ საჭიროებისთვის მიმართავს ძველს შემონახულ განძს ან პირდაპირ სეკვესტრს ადებს ან კიდევ სპილენძის ფული და სხვა რკინით შეცვალა; ზოგიერათ კიდევ მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ამოკლებს და ამ ნაირათ მომჭირნეობს (მაგალითად ახლა განკარგულებაა, რომ საზოგადო დარბაზები და სასწავლებლის შენობები ყოველ საღამოობით გაანათონ, რომ საზოგადოებამ თავის საჭიროებისამებრ —საღამოებისთვის გამოიყენოს, განსაკუთრებით მცხოვრებთა იმ ნაწილმა, რომლებსაც კეროსინი არ ყოფნით ან არ ეშოვებათ.

რაც ამ წესით და მომჭირნეობით ენერგია შემოინახება, ის სამხედრო საჭიროებისთვის წარმოებას ხმარდება. ამ სახით, მართალია, ძველი სიმდიდრე თანდათან დნება, ხელიდან ქრება, მაგრამ სამაგიეროთ ეს ხერხი სახელმწიფოს შეძლებას აძლევს ახალ-ახალი სესხი უზრუნველჰყოს. აი, ახლაც მესამე სესხი, რომელიც 12 მილიარდ მარკას შეიცავს, ნათლათ გვიჩვენებს, თუ როგორ თანდათან ღარიბდება სახელმწიფო.

მაგრამ წარმოებით მაღალ განვითარებულ ქვეყანას იმდენათ ვრცელი და აურაცხელი კაპიტალი აქვს შემონახული, რომ მას დიდხანს შეუძლია დანახარჯის აღუდგენლათ საქმე აწარმოვოს და ისევ ხარჯოს, ე. ი. თანდათან და ნელნელა ღარიბდეს, ხოლო ომის წარმოებისთვის ოდნავადაც არ შეწუხდეს. რასაკვირველია, ღარიბების სიმწვავე ომის შემდეგ გამოჩნდება, როცა საწარმოვო ძალები იმაზე ნაკლები დარჩება, რაც ომამდე იყო. და ეს პროცესი მით უფრო საგრძნობელი იქნება, რაც ომი გახანგრძლივდება. ამიტომ არის რომ გერმანია ჩქარობს, რომ ომს, რაც შეიძლება, ბოლო მალე მოეღოს. (რ. ვ.).

თვითმართველობის აღდგენა.

ხარბინიდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ, რომ ჩინეთში თვითმპყრობელობის აღდგენა თითქმის უზრუნველ-ყოფილია. ამ დღეებში იქ უმაღლესი მოხელეების, ჯარისა და ფლოტის უფროსების და მინისტრის შეერთებული კრება მოხდა, რომელზედაც გადაწყდა, რომ სახელმწიფოს გადატრიალება დააჩქარონ, რადგანაც ჩინეთში ახლა მოძრაობა ვითარდება და მთავრობაც რყევაშია რესპუბლიკას ბოლო მოუღოს. მონარქისტები ოცნებობენ „გადატრიალების“ შემდეგ ჩინეთის სამეფოს დაარქვან ქვეყნის შუა გული აღყვავებული იმპერია და იმ ახალ ეპოქას კიდევ „ჰუანი“ უწოდონ. დინასტიურ შფოთისა და არეულობის თავიდან ასაცდენათ, მათ გადაწყვეტილი აქვთ ძველი გადამდგარი სამეფო გვარეულობის, დაიცინგების, მცირეწლოვან მემკვიდრე იუანშიკაის ქალიშვილი შეერთონ ცოლათ და ამნაირათ იგი ტახტის კანონიერი მემკვიდრე გახადონ. ასეთმა პლანებმა ჩინეთის ყველა მაღალი „სფეროები“ თუ წრეები იუანშიკაის გარშემო შემოკრიბა და მათ შორის ყოველგვარი საწინააღმდეგო სურვილი და მოქმედება ჩააქრო. (რ. ს.)

პრესა.

1 ოქტომბერს ქუთაისში გამოვიდა ახალი ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „მობზარი“, გ. მაიაშვილისა და კიტა აბაშიძის უახლოეს თანამშრომლობით.

მოწინავეში, რომელიც გ. მაიაშვილის კალამს ეკუთვნის, ავტორი ახასიათებს იმ მომენტს, რომელსაც განიცდის ამ ჟამათ რუსეთი.

იგი სწერს:

> ბრძოლა სწარმოებს ორ ბანაკს შუა, ორ კლასთა შორის. დარაზმული არიან ერთის მხრით თავად-აზნაურობა, მეორეს მხრით—ბურჟუაზია, ერთის მხრით დღევანდელი რეჟიმის დამცველები, მეორეს მხრით—რეჟიმის განახლების მომხრენი.

რომელმა მხარემ უნდა გაიმარჯვოს? ჰკითხულობს ავტორი და პასუხს ასეთს იძლევა:

> შეიძლება, ომი დიდხანს გაგრძელდეს, ბრძოლა სასტიკი და შეუპოვარი იქნეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უსათუოთ უნდა გაიმარჯოს ახალმა ძალამ, ვინაიდან ახალ ძალას, ბურჟუაზიას, თან მოაქვს ახალი დროის შესაფერი იდეა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, ამას გვეუბნება ჩვენ მთელი კაცობრიობის ისტორიის ევოლიუცია. სოციოლოგიური ისტორია გვასწავლის, რომ ის კლასი, რომელიც საზოგადოებრივ მოვალეობას, დროის მიხედვით, გაურბის, ველარ ასრულებს იმ ზომით, რომელსაც მოითხოვს გარემოება, და უფლებების შერჩენას კი ცდილობს, უთმობს თავის ადგილს ცხოვრების სათავეში სხვა, ახალ კლასს, რომელსაც შეუძლია უფრო შესაფერათ, უფრო მოხერხებულათ, უფრო მხნეთ დაიცვას უმთავრესი ინტერესები საზოგადოებისა.

ამ ამონაწერს საჭიროა კაცი ჩაუფიქრდეს. ავტორის სიტყვები: „ბოლოს და ბოლოს უსათუოთ უნდა გაიმარჯვოს ახალმა ძალამაო“ უფრო ეჭვს ბადებს, ვიდრე რწმენას, რომ ეს უსათუოთ ასე იქნება. ის აზრი ავტორისა, რომ ასე იყო ინგლისში, საფრანგეთში და ევროპის სხვა კუთხეებში—სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რუსეთი ისეთი ქვეყანა გამოდგა, სადაც ისტორია ბოლოდან იწყება და სადაც სოციოლოგიური პრინციპები, როგორც ისტორიული დაკვირვებანი, არ მართლდებიან.

აქ ძალიან ბევრი იმ სინამდვილეზეა დამოკიდებული, რომელიც დამახასიათებელია რუსეთისა. პირველი კითხვა შემდეგია: მართლა იმდენათ ძლიერია რუსეთის ბურჟუაზია, რომ შესძლოს ძლიერ რუსეთის თავად-აზნაურობასთან ბრძოლა და გამარჯვება? ბურჟუაზიის ძალის „ჩვენებელი“ ან მის პოლიტიკურ ძალის ეკვივალენტი, კაპიტალი და განვითარებული წარმოებაა. ესენი კი ისე ნაკლები აღმოჩნდნენ რუსეთში, რომ ყველაზე

შთაბეჭდილებანი.

(დიდუბიდან შიომდე).

I

ორ აგვისტოს, რომ ჩვენი მთების მოგვი და მშობლიური ბუნების გრძნეული მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა დიდუბის პანთეონში შავი მიწის ხარბ კალთაში ჩავასვენეთ და უკან გამოვბრუნდით, საშინელი, თითქმის აუტანელი მოწყენილობა ვიგრძენ, მთლად შავ ფიქრთა მორევში შევსცურე და გზაზე სიცხიანივით მოვდიოდი და უაზროდაც ვსაუბრობდი ვიღაცასთან, თუმცა ჩემთან არავინ არ იყო. სიტყვები: ილია, აკაკი, ვაჟა, არჩილი, ნიკო, იაკობი და სხვები ირეოდენ ჩემ თავში და შიშიც ვიგრძენ,—მარტოობა, სულით ობლობა, უიმედობა…

ბოლოს უნებურად მომაგონდა, რომ ყოვლადსამღვდელო ლეონიდი თბილისში იყო, ქაშვეთიდან ბინაზე დაბრუნდა და პირდაპირ მისი ბინისკენ გავეშურე: მინდოდა შავი ფიქრები გამეზიარებინა მისთვის, ჩემსავით გულდამწვარისთვის. სწორედ მოგახსენოთ, დარბაზობის დრო სულაც არ იყო, მარა მე ეს აღარ დავეძიე და ნახევარ საათში უკვე კარებზე ვრეკავდი.

თითქმის უსიტყვოდ შევხვდით ერთიმეორეს, ნაღვლიანად და ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი ფანჯრიდან ნაღვლიანი თვალებით „მოდუდუნე მტკვარს“ გადავყურებდით, აქაც უსიტყვოდ, მუნჯად… თუმცა განა სიტყვა, ეს მახვილზე უფრო სხვა დროს მჭრელი და ძლიერი იარაღი, გადმოგვცემდათ იმ წუთში, რასაც ჩვენი გული გრძნობდა?! ლაპარაკი, ტირილი და დუმილი ხომ გულის საზომია! პირველი—ლაღის, ან ძლიერად ამოძრავებულის, მეორე ისარ ნაკრავის და მესამე სასიკვდილოთ გამზადებულის, შეპყრობილის!

დიაღ, დიდი წყლული მხოლოდ ღრმა დუმილით და თვალის სხვანაირი გამომეტყველობით გამოითქმის და არა სიტყვით! ვინც სულ ტიტინობს, ყბედობს, მას რა უჭირს? საბრალო ისაა, ვისაც გულის კარიც დახშვია, ცრემლიც გაშრობია და ენაც დაბმია! მისი ენა მაშინ მისი სახე და თვალი, უფრო თვალი, დიაღ, თვალი—ეს საუკეთესო სარკე სულისა!

ოჰ, მტკვარო, მტკვარო
ჩემებრ გულ მკვდარო!
სულ მოდუდუნე,
მუდამ მწუხარო!

რამდენი ასეთი დუმილი, ცრემლით დაისებული ქართველისა შთაგინთქავს შენს ზვირთებში და კასპის ზღვის წიაღში შეგიტანია! ოჰ, შენც მამა სულ მნათო ქართველო! რამდენი ცრემლი კაეშნისა გადმოგცვივია შენც სიონის კალთებიდან და მღვრიე გულის ცრემლები მღვრიე მტკვრისთვის შეგიერთებია. ნათესაობა ხომ არა ყოფილა რა შენ ჩათხრობილ-ჩასამარებულ გულსა და მუდამ „მოდუდუნე მტკვარს“ შორის მაშინ! ორივე დუღს მუდამ, ორივე დუდუნებს, ალბათ ბოლომა აწვებათ და ვერ გამოუთქვამთ…

უთუოდ!..

— მეორედ მოსვლა იქნება, მარადა უკლია!

შემოგვესმა აივნისკენ მომავალი მამა იესეს ხმა ორთავეს. ერთი შევკრთით, ბურანიდან გამოვედით და მივბრუნდით!

— რა იყო, კაცო, მიაძახა მღვდელმთავარმა.

— როგორ თუ რა იყო! მთელ თბილისში რომ ეტლს ველარ იშოვის კაცი, მეორედ მოსვლა ამაზე მეტი ღმერთმაც შეარცხვინოს.

— ჩვენ სწორეთ გაგვეცინა.

— შე კარგო კაცო, მიუბრუნდა მღვდელმთავარი! რა გვეეტლება, ქვეყანა იქცევა!

— თუ არ მეეძლება, მაშ, რით წაბრძანდებით დიასამძესან. გუშინ ფეხით არ ვიყავი? ასე წავალ დღესაც!

II

ჩვენც ამ ლაპარაკმა ცოტა გული შეგვიმსუბუქა და მათ მეუფებას შევეკითხე, შიოში როდის ბრუნდებით მეთქი და როცა მოვისმინე, რომ მეორე დღეს მიდიოდა, ვსთხოვე მეც თან წავეყვანე. ყოვლად სამღვდელოს ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნა, პაემანიც დავსდევით და სამ საათზე უკვე ბორჯომის მატარებელში ვისხედით და ვსაუბრობდით.

— დავობლდით ბატონო, დავობლდით!

მივუბრუნდი მე მღვდელ მთავარს.

— ობლობა და ასეთი გინახავს?.. ვინ ღა დაგვრჩენია!.. ვინ გაგვაჩნია!..

— თითქმის, აღარავინ!

— ახალგაზდები კი არიან, ღვთის მადლით, მარა ვაჟასი რო არა აცხიათ რა იმ დალოცვილებს…

— ბატონო, ვაჟა თვითონ როდის იყო რომელიმე ლიტერატურული სკოლის შვილი, თვითონაც რო ასეთივე სკოლობა გაეწია სხვებისთვის! როგორც თვითონ არ ჰგავდა არავის, არც სხვა გავს მას. თვით უმოძღვროდ, სხვებიც უმოძღვროდ დასტოვა!

— ჭეშმარიტად!.. ი ცხონებული რაღაც უცნაური არსება იყო პირადი ცხოვრებითაც და პოეზიითაც, მომცა პასუხი მათმა მეუფებამ.

შოთა

— მაგისთანა ჯერ არა მოვლენია რა საქართველოს და მიტომაც ასე გვიან გავახილეთ თვალი! მხოლოდ სიკვდილის წინ ვიცანით! თითქმის დიდი სირცხვილი დაგვემართა!

— რომ გვეცნო, ამაზე მეტი პატივი ეკადრებოდა, გუშინ რო ვეცით. მოვახსენე მე. ასე ბევრი სხვა უბრალო ვინმეც კი გაგვისვენებია.

ამ ლაპარაკში მატარებელი უკვე მცხეთას მიახლოვებოდა და ჩვენც საუბრის საგანი უნებურად გამოვცვალეთ. ახლა ვაჟას და პოეზიის ალაგი ისტორიამ და მისმა დედამ მცხეთამ დაიკავა.

— ოჰ, მცხეთა, მცხეთა. მოწამე დიდთა დღეთა, ჩვენო აკვანო და ჩვენო სამარევ, ჩვენო დიდებავ და ჩვენო სირცხვილო! ჩვენო იმედო და უიმედობავ! ჩვენო მხიარულებავ და კაეშანო. აკლდამავ დიდ მამაპაპათა და მოწამე ოხერთა შვილთა! თუთხმეტის საუკუნის გოლიათო თავიც ვერ დაგხურეთ, ისე დავჩაჩანაკდით ულირსნი შვილნი ღირსთა მამათა! ვინ წარმოიდგენდა, თუ XX საუკუნის ტეხნიკა მეექვსე საუკუნის ხუროთ მოძღვრებასთან შერცხვებოდა ძ შენი საკვირველი ხელოვნების საიდუმლოებასაც ვერ მიაკვლევდა! ვერ უპოვნიათ ვერც ქვა, ვერც შესადუღებელი მასალა და ვერც ოსტატი, რომ სახურავი გაგიახლოს ძველს რომ ცოტათი მაინც წაგავდეს მცხეთა.

წვიმის მსხვერპლო, დღეს ღამურათა და ტრედთა სადგურო, გუმბურებით გარშემორტყმულო, ერთხელ გვირგვინოსანო დღეს ლეჩაქოსანო! მცხეთა შენი სხივი, შენი სად გაქრა სვეტი ცხოველი! რატომ აღარ გწყალობს წმ. ნინო, დიდი ვახტანგი, პატარა კახი! ისტორიის საგნო, ცრემლის მიზეზო, მცხეთა… ტკბილო მოგონება, მწარე სინამდვილე, მცხეთა!.

ამ მწარე ფიქრებში რომ ვიყავი გახვეული, მამა ალექსანდრე შმოვიდა (ჯალიაშვილი) მცხეთის წინამძღვარი და ტაძრის მდგომარეობაზე გაჩაღდა ლაპარაკი. გამოირკვა, რომ აუარებელი ხეტყე, ტაძრის რესტავრაციისთვის მოწყობილი დაუმპლია, ფული არდაზიანის შეჭმული, საბოლოოდ დაკარგულია, ტაძარში რო წყალი ჩადის, მისი დახურვაც ვერ მოუხერხებიათ, რადგან ვერც შესაფერი მასალა სახურავისათვის გამოუნახიათ და ვერც ოსტატი.

— ჰოდა, მამაო მელიდონ, მოდი და ნუ მოიდრეკავ მუხლს მამაპაპათა ნეშთის წინაშე, თუ ისეთი კარგები იყვნენ, რომ მეექვსე საუკუნეში ისე არ გაჭირვებით არა თუ დახურვა, აგებაც კი ტაძრისა, როგორც ახლა უპირთ ტეხნიკის საუკუნეში! მომიბრუნდა მღვდელმთავარი და სახეზე რაღაცა აუწერელი სიამოვნება, ამაყობა ეტყობოდა.

— ბატონო, მარტო მაგაც არაა, სხვაც ხომ ბლომათ გვაქვს საბუთი მათი სახელის წინაშე მუხლის მოყრისათვის. მარტო თამარის ხიდი ჩოლაბურზე და ქუთაისის ცვირაბით წყალსადენი რადა ღირს!

—აბა,აბა! დამიკრა, კვერი მათმა მეუფებამ. საკვირველებაა, ჭეშმარიტად. მეშვიდე საუკუნეში კლდიდან თითქმის პერპენდიკულიარულად აუყვანიათ ციხეში წყალი უბრალო თიხის მილით, ახლანდელ ინჟინრებს და ქუთაისის მამებს 80 წლის განმავლობაში თავდადმართშიც ვერ წამოუყვანიათ თავის ჭკუაზე წყალი!

—ბაგრატის ტაძრის ცნობას როგორ უყურებ, მამაო! მე არც კი შემეძლო სადმე ასეთი უზარმაზარი შენობა, რომ

კვირას, 4 ოქტომბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვილი

ლაზარე მიხეილის ძის ქაჯაიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ოლღა ივანეს ასული ქაჯაიასი, ქალიშვილი ელენე ლაზარეს ასული ჯაფარიძისა და სიძე გიორგი ტარიელის ძე ჯაფარიძე. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

უფრო ტიპიურმა წარმომადგენელმა რუსეთის ბურჟუაზიისამ ბ. რიაბუშინსკიმ განაცხადა—მე არავითარ იმედებს არ ვამყარებდი იმ თავითვე სამხედრო, სამრეწველო კომიტეტებზე, რადგანაც რუსეთის მრეწველობა ძალიან მცირე არისო.

იმის გარდა რომ რუსეთის ბურჟუაზია ახალგაზრდაა, ცუდათაც იზრდება. იმის თქმა რომ ის არასოდეს არ გაიზრდება და არ გაიმარჯვებს, ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლიან, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როდის მოხდება ეს და ამის თქმა კი არავის შეუძლიან.

რუსეთი ის, წეროს მსგავსი ქვეყანაა, რომელსაც ყველაზედ მეტათ ფრთები ეზრდება, კორპუსი კი არა. ამ შემთხვევაში კორპუსი ბურჟუაზია არის, ფრთების როლს კი ერთის მხრივ თავად-აზნაურობა ასრულებს, მეორეს მხრივ ხალხი. ბრძოლაც მათ შორის უნდა მოხდეს. ყველაზედ რელიეფურად სისწორე ამ აზრისა სათათბიროში მოსჩანს. ვინ არიან იქ შემქმნელნი რუსეთის პარლამენტარულ ცხოვრებისა? მემარჯვენენი დ მემარცხენენი! ცენტრი ოქტომბრისტებით დ კადეტებით, ე. ი. იგივე ბურჟუაზია, მხოლოდ ტბაა, რომელიც ხანდახან მოძრაობაში მოდის და ხან მარჯვენა ნაპირს რწყავს, ხან მარცხენას. მაგრამ ეს ტბა ძალიან მცირეა, რომ იქ საკუთარი ქარიშხალი ამოვარდეს და მისი მოძრაობაც ამ მემარჯვენეებისა და მემარცხენეებს ხელით არის ხოლმე შექმნილი.

ქართული ენა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექციამ ამ ზაფხულს რამდენიმე მასწავლებელი დაითხოვა. სხვათა შორის, დათხოვნილი იქმნა ქართული ენის ერთი მასწავლებელიც.

ამ ამბავს თავის დროზე დიდი აურზაური მოყვა და საზოგადოებაც მეტათ დაინტერესდა მით, რომ ამ მასწავლებლის დათხოვნა იმდენათ უჩვეულო პირობებში მოხდა, რომ ბევრს გასაოცებლათ დარჩა. მაგრამ გიმნაზიის გამგემ ბ. ი. ოცხელმა საზოგადოებას ვითომდა საბუთი წარუდგინა დასამშვიდებლათ. ბ. ოცხელმა განაცხადა, ვინაიდან სექტემბრიდან გიმნაზიაში პარალელური კლასები დაიკეტება, ქართული ენის ერთი მასწავლებელი ზედმეტი იყო გიმნაზიისთვისო.

ჩვენ გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ, მიუხედავათ გიმნაზიის გამგის ასეთი განცხადებისა, საქმის გარემოება გიმნაზიაში სულ სხვანაირია. გიმნაზიის რამდენსამე კლასში ამჟამად ქართულ ენას მასწავლებლები არა ჰყავს და ეს იმ დროს, როცა ბ. ოცხელმა მთელი ქუთაისის საზოგადოება დაარწმუნა, რომ გიმნაზიაში არამც თუ საკმაო მასწავლებელია ქართული ენისა, არამედ მეტიც არისო. ჩვენ არ გვესმის, რას ნიშნავს ასეთი მოპყრობა საქმისადმი. რატომ ხდება, რომ ქართულს გიმნაზიაში, ქართველ ბავშვებს ქართული ენის მასწავლებელი არა ჰყავს? თუ თვით გიმნაზიის ინსპექციას ვერ მოუწესრიგებია ეს საკითხი, სად არის სკოლის კომიტეტი? მაგრამ ეტყობა სკოლის კომიტეტი მხოლოდ ფიქციაა, ან ისეთი არსებაა, რომლისთვისაც სულ ერთია, რა ხდება მის საკუთარ დაწესებულებაში. ჩვენ ამაში დავრწმუნდით ჯერ კიდევ მაშინ, როცა სკოლის კომიტეტმა მთელი კომისია დანიშნა გიმნაზიის სარევიზიოთ და კომისიამ კი მიიძინა. ეტყობა თვით ამ კომიტეტის ახლო არიან ისეთი პირნი, რომელთაც არ სურთ ეს რევიზია, მაგრამ როდემდის?

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა კვირას, ოთხ ოქტომბერს.

შავი ქვის მრეწველთა არა ჩვეულებრივ კრების მინდობილობით კრების თავჯდომარემ სამთამადნო ინჟინერმა ბ. ცეიტლინმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა კავკასიის მეფის მოადგილეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

ჭიათურის შავქვის მრეწველთა საგანგებო ყრილობამ მომანდო მოვახსენო თქვენს იმპერატორობითი უმაღლესობას გრძნობანი ღრმისი ერთგულებისა და გულწრფელი სურვილისა. შეძლება მოგეცესთ აღასრულოთ ის უმაღლესი სახელმწიფო მიზნები, რომლის გამოცხადებითაც შეიქმნა თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობა იმ მძიმე დროში, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს საერთო სამშობლოს"

ქალაქის თეატრში, შაბათს 3 ოქტომბერს „ქართულ. დრამატ" ამხანაგობა გამართავს ათფ-ფახიან წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება **მონტის** ცნობილი პიესა **„კაი გრაკხას"**. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ეფ. მესხი. მარო მდივანი, იუზა ზარდალიშვილი პლ. კორიშელი და ან. მუსურიძე.

✦ ოთხშაბათს, 30 სექტემბერს, საღამოს 9½ საათზე ქუთაისში დიდი მიწის ძვრა იყო. საფიჩხიაზე დააზიანა ორი დიდი შენობა.

✦ სამთამადნო ინჟინერმა ცეიტლინმა, 30 სექტემბერს, შავი ქვის მრეწველთა არაჩვეულებრივ კრებაზე გამოაცხადა: ის პირები, რომლებიც ქარხნებიდან ულაროვოთ გამოუშვებენ ტალახს და ამით მდინარე ყვირილას აბინძურებენ, გუბერნატორისაგან დაჯარიმებულ იქნებიან 3000 მ. ან 3 თვის ციხეს მიუსჯიანო.

✦ გუშინ ქუთაისში თბილისისა და სატახტო გაზეთები არ მოსულან, რადგანაც მცხეთაში დამწვარა ის „საბადოკო" ვაგონი, სადაც ეს გაზეთები იყო.

✦ ქალაქის გამგეობა რამდენსამე ქუჩაზე ფარნებს აღარ ანთებს, ნავთის უქონლობის გამო.

ოთხ ოქტომბერს ქუთაისში სომხების კლუბის დარბაზში გაიმართება საღამო საქველმოქმედო მიზნით.

ამ დღეებში ქუთაისის ქალაქის სამკითხველოში განახლდება ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გაცემა.

✦ როგორც გვწერენ, პირველ ოქტომბერს დაიწყება სწავლა ს. ვანის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში.

✦ დღეს ელექტრო თეატრ რადიუმში გაიმართება საქველმოქმედო სეანსები ქ-ნ ანჯაფარიძის თაოსნობით. იმედია, საზოგადოება დაესწრება.

✦ გუშინ, დილით, მთავრობის განკარგულებით, გაჩხრიკეს ზინგერის (საკერავი მაშინების) მაღაზია. მაღაზია დახურეს.

✦ დღეს, დილის 12 საათზე, სახაზინო პალატის შენობაში მოხდება საჯარო ვაჭრობა. იჯარით გასაქირავებლათ გაიცემა ორბელის (ლეჩხუმის მაზრა) ხის ხიდი ლაჯანის გზაზე, 3870 მანათად.

✦ ნიკოლოზ გაბრიელის ძე ოთხმეზურმა გადასცა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას ალბომი, რომელიც ჭიათურის საზოგადოებისაგან მიერთვა აკაკი წერეთელს იუბილეს დღეს.

✦ საფიჩხიის სასაფლაოს მცხოვრებლები სჩივიან, რომ იქ ამ ბოლო ხანში ქურდ ბაცაცებმა კვლავ იჩინეს თავი. საჭიროა ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

✦ საფიჩხიის მეპურეები ნიხრს კვლავ არ ემორჩილებიან, პურს მეტ ფასათ ყიდიან და პურსაც უვარგისს აცხობენ.

✦ რკინის გზის სამმართველომ 2 ოქტომბრისთვის მოწამეთის მონასტრის დღეობაზე განსაკუთრებული მატარებელი დანიშნა:

პირველი მატარებელი.

№ 612—6 საათზე და 15 წ. დილით:
— 614—8 საათზე და 55 წ. დილით:
— 616—12 საათზე დილით.
— 618—2 საათზე 15 წ. დღით.
— 620—5 საათზე და 10 წ. საღამოს.
— 622—8 საათზე საღამოთი.

✦ ქუთაისის მაზრის სამხედრო სასამართლოს კომისია დანიშნულია ორშაბათს თვის 5 ოქტომბერს.

✦ **ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ** რომ კავკასიის ფრონტზე მე-20 საარტილერიო ბრიგადის მეხუთე სამთო ბატარეაში უმცროს ფეიერვერკერათ მსახურებდა ჯარისკაცი გიორგი ალექსის ძე დოდუა. 1914 წ. 10 დეკემბერს ოსმალებთან ბრძოლის დროს იგი უკვალოდ დაიკარგა და დღემდე იმის შესახებ არარაფერი ვიცით. თუ ვინმემ იცის ხსენებულ ჯარისკაცის ბედი უმორჩილესად ვთხოვთ შეგვატყობინონ შემდეგი მისამართით: გორი, სანგანიძეს.

მასწავლების დღიური.

პიტიჯ. მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებში რამოდენიმე (მგონი შვიდი) მილიონ პირველ დაწყებითი სასწავლებლებს ხსნის მთავრობა. ჩვენი საზოგადოებამ იმდენი გონებრივი სიკოტრე გამოიჩინა, რომ ის თავის თავს არ დაეკითხა: იქნება თუ არა ეს სასწავლებელი მისი შვილების აღზრდისთვის ხელსაყრელი? ექნება თუ არა ასეთი ტიპის სასწავლებელს საფუძვლად დედა-ენა? ამ საკითხის შესახებ „თანამედროვე აზრის" გარდა, პრესას ხმა არ ამოუღია. ჩვენი საზოგადოება კი, მიუხედავად თავისი ეკონომიური დაქვეითებისა, ამ შკოლების გახსნას თვალებ დახუჭული აღტაცებით მიეგება. ბევრგან „სოფლად „პრიგოვორი" შეკრეს მატერიალური დახმარებისთვის; ზოგან შვიდი რვა ქცევა მიწის უფასოდ დათმობა აღუთქვეს და სხვ... ეს საკითხი მეტის მეტი მწვავე საკითხია. სოფლად კი იშვიათია ისეთი პირი, რომელიც აუხსნის და განუმარტავს განუვითარებელ მასას სამშობლო ენის მნიშვნელობას და მის აუცილებლობას... უფრო მოსახერხებელია და მეტის მეტი საჭიროც არის, რომ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა. ამიტომ მივმართავ ყველა იმ მასწავლებელთ, რომელნიც [illegible] ემსახურებიან თავიანთ დიდი დანიშნულებას და ოდნავ მაინც არ ჩაქრობიათ გულში სამშობლოს და სამშობლო ენის სიყვარული, ჩაუდგნენ ახლავე გვერდში საზოგადოებას და აუხსნან მას დედა-ენის მნიშვნელობა; განუმარტონ მას, რომ უდედა-ენოთ ჭეშმარიტი მოქალაქის აღზრდა-განვითარება შეუძლებელია...

როდესაც საზოგადოება შრომას და ენერგიას ხარჯავს, როდესაც ის თავისი ღარიბი ჯიბიდან მატერიალური დახმარებას უწევს შკოლების გახსნაში და მასთან რამოდენიმე ქცევა მიწასაც უფასოდ უთმობს, მაშინ ასეთი შკოლა მისი (საზოგადოების) ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ასეთი შკოლა უნდა აძლევდეს მას საღი რწმენის ადამიანებს და არა გონება დამახინჯებულს და გადაგვარებულს შვილებს, რომელთა ყოფნას, რასაკვირველია, არ ყოფნა სჯობია.

ჯერ კიდევ არის ისეთი სოფლები, სადაც ხალხს „პრიგოვორი" არ შეუდგენია, სასურველია, რომ საზოგადოება არავითარი ნივთიერ დახმარებას არ აღმოუჩენდეს შკოლის გახსნას თუ ის ზემო აღნიშნულ პრინციპებს არ ემსახურება. საზოგადოებას თამამად შეუძლია უარი სთქვას შკოლის გახსნა, იმ შემთხვევაში, თუ იქიდან დედა-ენა განდევნილი იქნება.

ალე.

პატარა ფელეტონი.

წერილი „კადრუზასთან."

სკოლა ჩვენს სოფელშიც არის. სკოლის მასწავლებელს შორიდან ვიცნობ, კოპწია გოგონაა. ახლო გაცნობის სურვილი მას არ გამოუცხადებია და მეც ვაგვიანებ, მხოლოდ თუ შემთხვევით გავიცნობ ახლოს, თქვენც კარგად გაგაცნობთ, პატივცემულო მკითხველო!

(ახირებული ხასიათისა გახლავარ, გიქვით სულ გავიძახი: „მოყვარეს პირში უძრახე-"ს.) ახლა-კი წავიკითხავთ ჩვენი სოფლის განმანათლებელის ერთს წერილს, რომელსაც თავის „პოდრუგას" უგზავნის სოფ. რ—ს.

გაოცდებით, როგორ ჩამივარდა ხელში უცნობის წერილი. იფიქრებთ—ვიქურდე. არა, გეფიცებით ქართლის ზოგიერთა სოფლის მასწავლებლების მადლს,

---

აგრე თხელ კედლიანი იყოს! მერე დროსა და ჟამს შიგნით და გარეთ კანი სულ შემოუცლია, მარტოკა შუა-ხურდა ქვა-კირი დარჩენილა უმეტესად და ყოჩაღად სდგას, უძლებს ქარსა—და ბუქს, ყინვასა და წყალს!.. ახლა შიოში მობრძანდით და ცოტაც იქაც იხილეთ!..

ამ სიტყვაზე უნებურად გავიხედე ფანჯარაშიდ შიო უკვე თვალწინ გვედგა.

სურათი ისევ შეიცვალა ბუნებაშიც და თავშიც!

მცხეთის ალაგი შიომ დაიპყრო.

III

ბაქანი მალე გამოჩნდა, ჩვენ ხუთ წუთში უკვე მომკალ ყანებზე მივაქანებოდით ათი წლის ყმაწვილივით გახარებულები. მღვდელ-მთავამა ანაფორა იძრო და კაბის ამარა გაგვიძღვა წინ.

—მამაო მელიტონ! აწი თბილისში არ გეგონოს თავი! ახლა უკვე ჩვენ სახლში ვართ. ბუნების შვილნი, ლაღნი! ხედავ რა მიდამოებია! გრძნობ რა მსუბუქი ჰაერი დაგვკრავს! მომიბრუნდა გახარებული მასპინძელი.

მე დიდაც ვხედავდი და ვგრძნობდი ყველაფერს, მასპინძელზე ნაკლებ არ მიმაჩნდა თავი ბედნიერად და მხოლოდ ბედნიერის გამომეტყველებით გავეცი პასუხი მღვდელმთავარს, უსიტყვოდ. ისიც კმაყოფილი იყო იმ პასუხით და ორთავემ ფეხს ვუმატეთ.

მალე გორას სულ გადავადექით თავზე, რაღაცა უცნაური ძალა მიგვიზიდავდა წმ. სავანისაკენ და ჩვენც ბავშური გულუბრყვილობით უნებურად მივყვებოდით ამ ძალას.

არც მჯერა, რომ რაც უნდა ადამიანი ურწმუნო სულის პატრონი იყოს, თუ ასეთ წმ. ალთაის სფეროში ფეხს შესდგამს, ცოტა რამ მაინც ციური მადლი არ მოეცხოს მისს გულს და არ მოალბოს.

მეც ვსცდილობდი არაფერი ჭუჭყიანი, სოფლიური გრძნობა და ფიქრი წყლის გაღმა არ გამყოლოდა, ბორანი ჩემ წმ. აიაზმად გამხდომოდა და გაღმა წმ. ალაგზე მეც ღირსეულად დამედგა ცოდვილი ფეხი,—აი, მამაო, ამ ალაგს, რომელსაც გაღმა ჰხედავ ეწოდება სარკინეთი, მომიბრუნდა მამა იესე.

მე სარკინეთი აქეთკენ კი მეგონა, მარა, თუ ასე მოულოდნელად შევსდგამდი ფეხს იმ სარკინეთის ვიწრო საზღვრებში, რომელიც წიგნში ისე ხშირად მეცემია თვალებში, და თეორიულად არა ერთხელ წარმომიდგენია, ამასაც არ ველოდი და მეორედ დაბადება ვიგრძენ, როცა თეორეთიულად დიდიხნით შეყვარებული და თავით ნატარები ცნება-საგანი ახლა კონკრეტიულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა, მკვდარ-ცივ ჩონჩხს ცოცხალი სისხლ-ხორცი შევასხი, როცა უაზროდ თვალებ-დაჭყეტილ ტიკინას უკვდავი სული ჩავუდგი.

—იქნება ეს სახლი აქაურ რკინის მადნებზე მიგვითითებდეს! ვკითხე მე.

—იქნება, აგრეც იყოს, ბრძანა მამამ მეუფემ, შეიძლება სარკინო ზოდებიდანაც ერქვას მას ეს სახელი, რადგან სწორედ აქ უთარეშნიათ მათ.

ორივემ ერთი მეორეს თვალებით თვალებში გავუყარეთ და დიდიხნის ექსკურსია მოვახდინეთ ფიქრებში, ოცნებებში და შორეულ ჭალარასან სისხლით შეღებილი წარსულში...

საკითხი მაინც ღია დარჩა ჩვენთვის.

—მადანი რომ არ იყოს არ შეიძლება, განაგრძო მღვდელ-მთავარმა, რკინის ნიშნებია შემცნეული, მაგრამ პატრონი სადაა?.. ჩვენებს ფხა არ აქვსთ და გარეშეთ ხომ არა დაემალებათ რა, აი იქ რომ ზევით ალაგს ხედავთ, იქ მანთაშოვს ცემენტის ქარხანა უნდა გაახადოს, მაგრამ ელექტრონისათვის მონასტრის, აი ეს, ალაგია საჭირო და 50,000 აძლია წლიური საიჯარო ფული.

— ნუ თუ თქვენ მაგაზე დათანხმდებით და სხვას ჩაუგდებთ ხელში ამ ავლა—დიდებას?

ვკითხე მე შიშით.

— თუ დავთანხმებულიყავ, ახლავე უკვე გაჩაღებული ექნება.

მე გული დამიმშვიდდა და ისევ განვაგრძე.

— განა არ ვიცი, რო აგრე იქნებოდა.

— მაშარა და... თავი მოუკვდეს მას, არეულოთ ჩვენი შესმა—შეჭმა?.. ხუთი მილიონიც რო მოეცათ, ვერ მივართმევდი, ერის წინაშე პასუხისმგებელი არ გავხდებოდი, პირს ვერ გავიშავებდი!

— გაცოცხლოსთ ღმერთმა!

დავლოცე მე.

IV.

— მიტომაცაა, რო აგრე გიმადლიან შენი მემამულეები, ნამეტურ ახალი თაობაა!...

შენიშნა მამა იესემ შინის მოგებით.

— სულ ასე ბრიყვნი ხო არ იქნებიან, გარდამავალი ხანაა, მოვლენ ჭკუაზე, როცა იქნება და თვალებს გააჭყეტენ. სადღეგ—ხვალით საქმე ხომ არაა. რაც უნდა ქნან, მე კი არ წავიღებ თან ამ ცოდვას და მერე ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

— კი, მარა, ასეთი უმადური როგორ უნდა იყოს კაცი! სამართალი არაა!

გაცხარდა ბერი.

— სხვა რო არა იყოსრა, მწყემსობას ხომ ვეწევით ამ ეროვნულ საუნჯეს!.. ჰა!.. ხომ არავის ვატანთ!... პირიქით, უკანასკნელ ოფლს, ჯანს და ფარას აქ ვსტოვებთ... რომ ეროვნული საქმე არ იყოს, მე ოხერი რიღა სამოთხეს ვპოვულობ აქ, რო დილიდან საღამომდი თუ კალოზე ვიხრაკავ თვალებს, თუ აგურებსა და ქვებს ვთრაქავ ზურგით, თუ გზებს ვაკეთებ, თუ ძველ ნაშთებს თავზე ვაფარებ რაღაცაებს, იქნება პატარახან კიდო გაძლოს მეთქი!.. ჰა,... მითხარით ერთი.. მოგვეძალა ბერი.

ჩვენ ღიმილით შევჩერებოდით.

— როგორა ჰგონიათ, იმ საცოდავებს!.. განა მე თვალი და ხელი მაკლია, რო სოფელს გამოვექეცი?.. განა მე კი კბილებს მომჭკვეთდა კაი ცოლშვილი და ტკბილი ცხოვრება!!.- თვალი კი დაუდგათ, თვალი... ამ ქონებასაც მოვლა-პატრონობა არ უნდა!.. აბა მიეცით სხვის ბერებს აქ ჩამოთესლების ნება და ნახეთ, გულზე ხელს გკრავენ თუ არა!..

— ხელს გვკრავენ, კი არა, ბევრსაც იხვეწებიან, მილიონსაც ახლავე ჩამითვლიან ხელში, მარა ისე კი რა ვუთხრა მათ!...

შენიშნა მათმა მეუფებამ. ან შენ როგორ გგონია, მამაო, მომიბრუნდა მერე მე,—ორს კი არ მომცემდა, მერე და დავბძანდები კაი აგარაკზედ ყმაწვილობა თუ არ მინახავს, მოხუცებულობას მაინც არ დავიშხამებ!... მარა... მანამ მიწა მიმეყაროს, სანამ მაგ აუსრულდებოდესთ!..

მე, სწორე მოგახსენოთ, დიდი ბედნიერი და გმირი ვიყავი ამ დროს, როცა მღვდელმთავარი მტკიცე რწმენით ამბობდა ამას. ვგრძნობდი, რომ ეროვნული სული კიდევ უკვდავია, კიდევ ცოცხალია ჩვენში.

თურმე მართალი უთქვამს პოეტს, რომ:

არ მომკვდარა,
მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..

— არა, მაგ უჭკუონი და უბედურნი, სხვა რომ არა იყოს რა, ამას მაინც რატომ ვერა ხვდებიან, რომ ქურდობას, ძარცვა—გლეჯას, ან სოფელ-სოფელ მშიერ-ტიტველ სიარულ-ხეტიალს, ის არა სჯობს, რომ აქ მოვიდენ,—გაცხარდა ისევ მამა იესე! მე ხომ იმას არ ვამბობ, რომ ყველამ სოფელ ქვეყანასთან კავშირი გასწყვიტოს, სახლ-კარი მიატოვოს, ქვეყანა გადაშენდეს, უნდა თუ არა ყველა ბერად შედგე? არა, მხოლოდ ვისაც ან სახლკარი არა აქვს და სოფლიურ ცხოვრებას ვერ აწყობს, ან მოწოდება აქვს, და ცოლშვილს არ ეკიდება, სიმშილით ნუ მოიკლავს თავს, ან ცუდკაცობას ნუ მიჰყოფს ხელს, მოვიდენ აქა, ღვთის წყალობაა, მიწა გვაქვს, წყალი სათევზე, წისქვილი, ბაღები, ჭურ-მარანი, საფუტკრე, ძროხები, ხარ-კამეჩი, ცხენები, სამუშაო იარაღები, ბინები, ეკკლესიები, ღვინო, პური,—ყველაფერი რაც სულსა და ხორცს უნდა ღვთის მოცემული, მობძანდნენ, გაინძრენ, გაისარჯონ და თვით ისე იამაყონ თავიანთი შრომით, მზა-მზარეულ ოჯახში. ჩვენ აქიდან თუ კიდევ შევეწევით, თვარა მათი ნაშრომითგან არას შევეხებით, ოღონდ მოვიდენ, გამრავლდენ, ფეხი მოიკიდონ, გააღვიძონ ეს ოდესღაც დიდებული აყვავებული ლავრა... მარა რო არავინ მოდის, რო ვერ შეიგნეს?!.. ამოდენა შენობები ავიგეთ, ამოდენა ეკკლესიები გაგვიმშვენებია, ასსა და ორას ბერს ეყოფა და სულ შვიდილაა!.. რა უნდა უყოს შვიდმა ბერმა ამოდენა ეკკლესიებს, ბაღებს, ყანებს, კალოს, მარანს, წისქვილს, საფუტკრეს, ამა მეზობლების იყოს, თუ ხუთასიც არ მოვიდეს და ყველაც არ გაძღეს?!.

მღ. მ. კელენჯერიძე.
(შემდეგი იქნება)

მე ქურდობას ჩვეული არა ვარ... გზის პირას ვისხედით მე და სამიოდე გლეხი და ვმუსაიფობდით, რისაკვირველია, გერმანიაზე. „გერმანია რო გვჯობნის ეს იმიტომ, რომ ნასწავლი ხალხი ყოფილაო,“ სთქვა ერთმა. „ნასწავლი, მაშა! თურმე იქაურს უბრალო გლეხს—მიწის მუშას ჩვენს დიაკვნებზე მეტი სწავლა აქვსო,“ დაადასტურა პირველის ნათქვამი მეორემ. ამ დროს ყიჟინით ჩვენ წინ გაირბინეს პატარა მოწაფეებმა. გაკვეთილები გათავებოდათ და სახლებში მირბოდნენ.

„აბა ერთი ვნახოთ ამათ რაღას ასწავლიანო,“ სთქვა ცოტა შორიახლოს მჯდარმა ვინემ. ფეხზე მარდათ წამოხტა, ერთს მოწაფეს, რომელიც მოხვდა ხელში, აბგაში ჩაუყო ხელი, ამოაცალა რაც რამე იყო შიგა და მე გადმომაწოდა. „გაგვაგებინე რას ასწავლიან ჩვენს ბავშვებსაო“... ხელში მეჭირა „დედა-ენა,“ ორი რვეული და... „Ключи счастья“ ამ უკანასკნელზე გავკვირდი.

„ვინ მოგცა, ბიჭო, ეს წიგნი? შევეკითხე პატარას. მან ცქვიტად მიპასუხა. „მასწავლებელმა გამატანა სოფელ რ—სის მასწავლებელთან, შიგ წერილიც არის.“

სული ცოდვილო. მაპატიეთ, გულმა წამძლია და წერილი გადავიკითხე. გლეხები ჩუმად ისხდენ და მიცდიდნენ, ხანამ ამ წერილს გადავიკითხავდი და იმათაც ავუხსნიდი, თუ რას ასწავლიან იმათ ბავშვებს. მკითხველო, გლეხებს დავუმალე წერილის შინაარსი, თქვენ კი სიამოვნებით წაიკითხავთ და დამეხმარეთ გლეხებს ერთად გავსცეთ პასუხი მათ კითხვაზე: „რას ასწავლიან ჩვენს ბავშვებს“?..

ლიზოჩკა, გიგზავნი შენ რომ რომანსსა მთხოვდი, არ დამიკარგო... „Ключи счастья-“ს ყველანი ღამე ძილის წინ კითხულობენ, კარგი სიზმრები იციოო. მე კი გამოვიკვლიე, რომ სადილს შემდეგ, როცა ვენახებში ყურძნით გაძღები და ჩრდილში გაგორდები, ორი ფურცლის წაკითხვაც კმარა, რომ ცაში მფრენ სიზმრებიანი ძილი მოგერიოს... გულ აღმა წოლას გირჩევ... Настоящее счастье снится...

სხვა, ლიზოჩკა, რატომ „პადრობნათ“ არ მოიწერე, თუ როგორ ატარებ დროს? რა მალე გაქრა ეს ზაფხული! ნეტა ერთი თვეც ვყოფილიყოთ დათხოვილნი... რა დროებას ვატარებდი აგარაკზე!.. ოხ, Студенты!!.

სლუშაი! ერთმა სელსკი უჩიტელმა პრედლოჟენიე გამიკეთა. Какой то дуракъ, идеалистъ!.. გაიძახის: „ჩვენ, სოფლის მასწავლებლებს, დიდი მუყაითი შრომა გვმართებს... ჩვენ ვებრძვით ჩვენი ჩაგრული ერის ბრწყინვალე მომავალს, ჩვენ ვუნათებთ გზას ვაჩვენებთ დაბნეულ ხალხს, ჩვენ ამოგვყავს ხალხი გაჭირვებიდან; ჩვენ ვაშრობთ აყროლებულ მორევს. საცა ხალხი ყელამდე ჩაფლული სულსა ლაფავს; ჩვენ, ჩვენ-ო... ერთი სიტყვით, масса глупостей...

„ოხ, რა ბედნიერი ვიქნები თუ ამხანაგათ ერთის გრძნობებით, ერთის მისწრაფებით, ერთის იდეალებით გამსჭვალული ცოლი მეყოლება, ჯოჯოხეთს შევებრძოლები, თუ შენისთანა მესვეური (что значитъ „მესვეური“) მეყოლებაო...

„ერთად შევებათ უღელში და მტკიცედ ვიწიოთ ჰაპანი (тфу) ხალხის გათვითცნობიერებასო“... Знаешь „ჰაპანი“ რა არის? გუთანში ხარები რომ ხოლმე გადაბმული ერთმანეთზედ, მსხვილი ქონით გალესილი მყრალი თოკი ტყავისა, მუდრეცი, რა საკომპლიმენტო რამ არის ქონიანი ჰაპანი.

Вотъ дуракъ!.. მეც ავდექი და ასე მოვახსენე: „მე ჩემი თავიც მეჯავრება სოფლების უჩიტელნიცად და ახლა ქმარიც სელსკი უჩიტელი!?! ვაილა ჩემს გვერდებსა მეთქი და ისეთი შევბღვირე, რომ საწყალს ჩემს რომეოს გული გაუსკდა, ადგა და ქუდმოგლეჯილი გარედ გავარდა...

ოხერი! მე იმიტომ წამოვედი სოფელში, რომ იქნება ერთი დუშკა ვინმე ჩავიგდო ხელში მეთქი, მაგრამ, ლიზიკო, ამ საოხრო უ—ში არავინაა ასეთი. სულ ტეტიებია, არის ერთი კნიაზი, მაგრამ не красивъ..

შენ გენაცვალე, ლიზოჩკა, ამ სკუჩნაობიდან გამომიყვანე, რომელიმე ისეთ სოფელში გადამაყვანინე, სადაც ცოტას მაინც გახელს ადამიანი თვალებსა. Ты это можешь. ინსპეკტორი შენ მოწყალების თვალით გიყურებს დასწყევლოს ღმერთმა, მე იღბალი არა მაქვს. სულ რომ თავს შემოვევლო, არაფერი მშველის. დავიჯერო სხვაზედ ნაკლები ლამაზი ვარ?! Нѣтъ, ты глазки строить умѣешь, чертока!..

ან არა და თუ შენი პრაქტიკაც არ გასჭრის, ნატაშა ო—ძე თითქმის იმისი პალავინაა. რასაც ისა სთხოვს, ყველაფერს უსრულებს. შენ ხომ იცნობ ამ ბედნიერს ნ. ო—ძეს. სთხოვე ჩემზედ... იმედი მაქვს შემისრულებ თხოვნას. თურმე ადგილიდან ადგილზედ როცა გადაჰყავს, იმასა ჰკითხავს ხოლმე და ისიც, როგორც ურჩევს, ისე იქცევა.

ამ ჩემს უჩენიკს წერილი გამოატანე. ბევრი ნოვოსტები გელოდინება, მოიწერ...

შენი პადრუგა ვერა ტ—ევა...

აი, მარგალიტი მასწავლებლის წერილი.

ახლა რა ვუპასუხოთ გლეხებს, მკითხველო? მე ასე უთხარ „ამ ქაღალდიდან ის კი არა სჩანს, თუ რას ასწავლის ბავშვებს, არამედ ისა სჩანს, თუ როგორია თვით მასწავლებელი და, ღვთის მადლით, ძალიან კარგი მასწავლებელი ყოფილა მეთქი.

— „როგორიც თომა, ისეთი ტყავიო.. თუ მასწავლებელი კარგია, სწავლაც კარგი იქნებოდაო“, ასეთი პასუხი მომცა ერთმა გლეხმა... მე რა მეთქვა?...

— „ჰო“-ო მეთქი, წიგნები ბავშვს გადავეცი და დაფიქრებულმა შინისაკენ გავსწიე:

ურბნელი ვახო.

წარმოდგენების საქმე დაბა-სამტრედიაში.

ვინ არ იცის, რომ-დღეს-ხელოვნებისადმი სიმპატია იმდენათ გაიზარდა, იმდენათ საპატიო ალაგი დაიჭირა ხალხის გათვითცნობიერებაში, რომ, ასე თუ ისე, მას ყოველგან თაყვანს სცემენ, მის მუშაკთ ქონებრივ ეკონომიურათ ამდიდრებენ და ხელოვნების ფართო ნიადაგს ამზადებენ. დღეს ცოტათ თუ ბევრათ განათლებულმა ადამიანმა იცის, თუ რა არის თეატრი, თუ რა, ან რის მოტანა შეუძლია მას ჩვენთვის და სხვა. თვით მიყრუებულ სოფლებშიც აღმოჩნდენ ისეთი პირები რომლებიც ხელოვნების სამსახურით გატაცებულნი სდგამენ წარმოდგენებს ამა თუ იმ საქველმოქმედო მიზნით, ეს დიდი პროგრესია ხალხის ცხოვრებაში და ყველა მოვალეა—დიდის ენერგიით მოკიდოს ხელი ხელოვნების სამსახურს, რადგან ის წმინდაა, ვით ტაძარი. ეს პატარა წინასიტყვაობა იმიტომ წავუმძღვარეთ ამ წერილს, რომ ამის ნიშნები ჩვენს დაბაში არის, აქაც თეატრსა და ხელოვნებას დიდის სიმპატიით ეგებება ხალხი, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ჩვენი ინტელიგენტის დაუდევრობა ამ საქმეში. დიდი ხნიდან აქ არსებობდა წ. კ. გ. ს—თან წარმოდგენების მართველი სექცია, რომელიც მართავდა ქართულ წარმოდგენებს იაფ-ფასებში არტ. ტ. დ. კობახიძის რეჟისორობით. არ ვიცით, დაუდევრობით, თუ სხვა რამე მიზეზით, ამ სექციამ სული დალია და ერთ ხანს მისი არა ვიცოდით რა: ბ-ნი. კობახიძეც იძულებული შეიქნა სადმე წასულიყო ლუკმა პურის საძებრათ. სექცია განახლდა რამოდენიმე ხნის შემდეგ. რეჟისორად მოიწვიეს ა. ჯაყელი და შეუდგა წარმოდგენების მართვას. წარმოდგენები შესაფერათ იდგმებოდა. დაარსდა თუ არა ეს წრე, საზოგადოება დიდი მოხარული იყო მისი, ხალხით სულ გაჭედილი იყო თეატრი, მაგრამ არც ეს გამოდგა ხანგრძლივი და რამოდენიმე ხნის შემდეგ მანაც დალია სული. მდგომარე წლის ზაფხულის სეზონში კობახიძე კვლავ ეწვია სამტრედიას და სდგამდა წარმოდგენებს. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით, დასდგეს „ქართველი დედა“ ცაგარლისა, „ფული და ხარისხი“ აზიანის ქალისა, „ირინეს ბედნიერება“ კლდიაშვილისა „დამარცხებულნი“ ირეთელისა და სხვა და სხვა, გასართობები, წარმოდგენები იმართებოდა რკინის გზის კლუბში, რის შოვნაც ჭირდა თავ-თავის დროზე. ეხლა გადაუწყვეტია კობახიძეს, შეადგინოს წრე, რომელმაც უნდა იჯარით აიღოს მთელი ზამთრის სეზონის განმავლობაში რკინის გზის თეატრი, სადაც ყოველ კვირას გაიმართება წარმოდგენები საქველმოქმედო მიზნით. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საკუთარი თეატრის უქონლობა ნამეტანი აფერხებს წარმოდგენების საქმეს. ვუსურვოთ ახალ წრეს წინმსვლელობა და თავისი მიზნის პირნათლათ შესრულება...

„ნოსმახ“

პროვინციის ცხოვრება.

ხაშ. გომი. (ქართლი). სადგურ გომში დაარსდა ამ მდგომარე ზაფხულში, დრამატიულ საზოგადოების განყოფილება. თეატრისათვის შენობა დაგვითმო, თავადმა ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონ დავითაშვილმა უსასყიდლოთ იმავე საქველმოქმედო მიზნისათვის. ავირჩიეთ კომიტეტის წევრებათ: იპოლიტე ყაველაშვილი, არჩილ ქექელიძე, ვარლამ გოგუა, გაბო შანშიაშვილი და სხვა; დაიწყო წარმოდგენების გამართვა, ადგილობრივი მცხოვრებნი მხურვალეთ შეეგებნენ ამ სიმპატიურ საქმეს და ზაფხულის განმავლობაში სულ 4—5 წარმოდგენა იყო; შემოსავალი შედარებით კარგი იყო. სეზონის დასრულების შემდეგ, გაიარა რამდენიმე დრომ და ჩვენგან არჩეულმა კომიტეტმა არავითარი ანგარიში შემოსავალ-გასავლისა არ გამოაცხადა, არც პრესის საშუალებით და არც პირადათ, მაშინ ჩვენ, როგორც მოთავე ამ საქმის დაარსებისა და ამრჩევლები კომიტეტის წევრებისა, მივმართეთ მათ პირადათ, თუ რაიმე შემოსავალი დარჩა გამოეცხადებიათ და კიდეც გადაეცათ დანიშნულებისამებრ, ადგილობრივ შკოლისა და სამკითხველოს სასარგებლოთ; პასუხათ მიგვითითეს თფილისის სახაზინო თეატრზე „მიბრძანდით და იქ მიიღებთ ანგარიშსაო“. ამის შემდეგ ერთხელ კიდევ ვსცადეთ, და შუა კაცის საშუალებით მოვითხოვეთ ანგარიში. პასუხათ გვაცნობეს რომ „პრესის საშუალებით, მიიღებთ პასუხსაო“ და ამის შემდეგ შესაფერ პასუხის მაგიერ, დაისტამბა ვინმე „კუდყნეთელის“ წერილი გაზეთ თანამედროვე აზრის № 154, ჩვენი პიროვნების გასაქილავი და საზიზღარი ცილის წამებით გაჟღენთილი. ჩვენ ასე დაჟინებით ანგარიშს იმიტომ მოვითხოვდით, რომ ჩვენ ხელთა გვქონდა უტყუარი საბუთი იმისა, რომ კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა ჩაიდინა სიყალბე მოქმედებაში.

ბ. „კუდყნეთელის“ პატიოსანი მუშა, რომელიც ვითომდა ჩვენ ავგძულებინოს გასულიყო სამსახურიდან, ეს მტკნარი სიცრუეა. სადგურ გომიდან მუშაობას თავი დაანება თავის სურვილით მუშა არარჩილ, ქექელიძემ, რომელიც, ადრე განდევნილი და დატყვევებული იყო სადგურ გორიდან სიყალბის ჩადენისათვის: აღმოუჩნდა ფოთის სადგურის „მუხრუჭი“ (пломбирніе щипцы) თავის დაკეტილ ყუთში, მუხრუჭმა, რომელმაც იმსხვერპლა რამოდენიმე ათეული კაცი, ცივ ქვეყნებისაკენ გამგზავრებით, და ბ. კუდყნეთელის ალბათ შეცდომით, გორის მაგიერ სადგური გომს იხსენიებს. ჩვენზედ მიმართული ლანძღვა გინების წერილის საბუთიანი პასუხი უკვე გაგზავნილია თავის დროზე გაზეთ „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში ვრცლათ, მაგრამ, ალბათ, რიგს უცდის დასტამბისას, სადაც გვყავს გამოწვეული ბ. კუდყნეთელი სამედიატორო სამართალში და თუ კი დაგვეთანხმება მაშინ გამომჟღავნდება მათი ფიზიონომია.

მაინც ვეკითხები დაჟინებით, როგორც თავმჯდომარე, ბ. იპოლიტე ყაველაშვილს, სცნობს იგი ჩვენ მოთხოვნილებას კანონიერათ თუ არა, და თუ კი, რატომ არ აცნობს საზოგადოებას თეატრის შემოსავალ-გასავალს, და თუ რაიმე შემოსავალი დარჩა, რა კულტურულ დაწესებულებას მოხმარდა?

ალექსანდრე მესხი.

ღია წერილი

ბლალოჩინთ: დეკანოზს ანტონ კეკელაიას, მღვდელთ: კონსტანტინე კანდელაკს და მოსე ჯორბენაძეს.

ჩემი შედგენილი სიეკლესიო „ტიბიკონი“ ბატონ ყდ. სამღვდელო ლეონიდის განკარგულებით, მეგრელიის ყველა ეკლესიაზე გაიწერა. ეს წიგნები საეპარქიო კანცელარიამ დაუგზავნა ყველა ბლაღოჩინს მათდამი რწმუნებულ ეკლესიებზე დასარიგებლათ მით, რომ ფასი წიგნებისა, ეკლესიიდან აეღოთ და გამოეგზავნათ ჩემთვის. ასე მოიქცნენ ყველანი. თქვენ კი მამებო, თუმცა, საკმაო დრო მას მერე, მაგრამ ჯერ არ გინებებიათ გამოგზავნა.—საეპარქიო კანცელარია ასეთ ცნობას მაწვდის:

ჩემი წიგნების ფასი დეკ. ა. კეკელიას აქვს 13 მ. 80. ბლ. კონსტანტინე კანდელაკს 5 მ. 75 კ. ხოლო ბლ. მოსე ჯორბენაძეს 23 მანეთი.

უმორჩილესად გთხოვთ, ეს ფულები გამომიგზავნოთ 15 დღის განმავლობაში; ან გამოაცხადოთ ამავე გაზეთის საშუალებით, რომ თქვენ ეკლესიებიდან არ მიგიღიათ ამ „ტიბიკონის“ ფასი და მერმე წიგნები კი გარდაეცით ისევ საეპარქიო კანცელარიას ჩემდა გადმოსაცემათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ ისეთ საშუალებას, რომლითაც სულ სუბუქათ გამოვიკვლევ ამ საქმის გამასწორებელ საშუალებას.

პატივისცემით—მღვდ. **რ. ხუნდაძე.**

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების

სამკურნალო აბანო

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავადმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ.

1915 წლის 1 ოქტომბრიდან გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„მეგობარი“
გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით.
გაზეთის ფასი წლიურად 8 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.
გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპოდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. პილაძის სახლი. „მეგობარი“-ს რედაქ. რედაქტორ გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში. ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—3

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი.
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.
თვ.

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ღებულობს შინაგან და ქალთა ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,
შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი 6 აბაზი.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
ხამსონ დოთეშიძის ქართული დედანისა და სამხატვრო ნიმუშებისა.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ძმ. კოზერიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან